საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-410

2024 წლის 2 აპრილი

ქ. თბილისი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 12 აპრილის №2-422 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 12 აპრილის №2-422 ბრძანებაში (ვებგვერდი, 13/04/2021, სარეგისტრაციო კოდი 340030000.22.023.016664) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჳ^{72}-ჳ^{76}“ ქვეპუნქტები:

„ჳ^{72}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან უზბეკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოველური წარმოშობის, მათ შორის, ფრინველისა და თევზისაგან მიღებული ცხოველის საკვებისა და ცხოველის საკვები დანამატების ექსპორტისათვის (დანართი №105);

ჳ^{73}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სანაშენე და სამომხმარებლო მსხვილფეხა საქონლის ექსპორტისათვის (დანართი №106);

ჳ^{74}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საკლავი მსხვილფეხა საქონლის ექსპორტისათვის (დანართი №107);

ჳ^{75}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საკლავი ცხვრისა და თხის ექსპორტისათვის (დანართი №108);

ჳ^{76}) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სანაშენე და სამომხმარებლო ცხვრისა და თხის ექსპორტისათვის (დანართი №109).“.

2. დაემატოს თანდართული შინაარსის დანართები №105-109.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**